

სამეცნიერო ჟურნალი

*„Scripta manent“*

*საქართველო*

№2 (6)

2010

ჟურნალი დაფუძნებულია  
ღია დიპლომატიის ასოციაციის მიერ



*Scientific magazin*

*Научный журнал*

*„Scripta manent“*

*GEORGIA*

*ГРУЗИЯ*

*№2 (6)*

*2010*

*OPEN DIPLOMATIC ASSOCIATION*

*АССОЦИАЦИЯ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ*

ISSN 1987-7390  
UDK (უაკ) 81+82  
S-41

## სარედაქციო კოლეგია:

მანია ჩხეიძე

მთავარი რედაქტორი

რუსუდან თაბუკაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ია ჩიქვინიძე

პასუხისმგებელი მდივანი

## რედაქციის წევრები:

ვიოლა ფურცელაძე, ჰანს რუდიგერ ფლუპი, კულაუ ბიბიტოვა, სილვია ბოტევა,  
ტანია გრისკაჰერი, ქეთევან ბაბუნია, ია გურდული, მარია მიხაილოვა,  
ტატიანა მებრელიშვილი, ალბა გრაცინაო, ალმესანდრა სპალაფორა, გიორგი ყუყუარაძე.

## მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას 77, კორპუსი VI, სართული VIII

ტელ. : 36 51 76

E-mail. : r.tabukashvili@gmail.com

ტექნიკური უზრუნველყოფა: კარინა ხარაზიშვილი

E-mail. : k-kharazishvili@mail.ru

ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ღია დიბლომატიის ასოციაციის ვებგვერდზე:  
[www.odageorgia.ge](http://www.odageorgia.ge)

**Editorial Board:**

Maia Chkheidze, Viola Purtseladze, Rusudan Tabukashvili, Ia Chikvinidze, Hans Rudiger Fluck, Kulpash Beibitova, Tania Grishammer, Ketevan Gabunia, Ia Burduli, Maria Mikhailova, Silvia Boteva, Tatiana Megrelishvili, Alba Graziano, Alessandra Spadafora, Georgi Kuparadze

Adress: Kostava str. 77, 0175, Tbilisi, Georgia  
Tel. : (995 32) 36 51 76  
E-mail: r. tabukashvili@gmail. com

Electronic version: [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

**Редакционная коллегия:**

Маия Чхеидзе, Виола Пурцеладзе, Русудан Табукашвили, Ия Чиквинидзе, Ганс Рудигер Флук, Кульпаш Бейбитова, Таня Грисхаммер, Кетеван Габуня, Ия Бурдули, Мария Михайлова, Сильвия Ботева, Татьяна Мегрелишвили, Альба Грациано, Алессандра Спадафора, Георгий Купарадзе

Адрес: Ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия  
Тел. : (995 32) 36 51 76  
E-mail: r. tabukashvili@gmail. com

Электронная версия: [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

## რედაქციისაბან

ჟურნალი აქვეყნებს როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ყველა მიმდინარეობაზე დაფუძნებულ თეორიულ თუ პრაქტიკულ ნაშრომებს და ადგილს უთმობს აგრეთვე რეცენზიებსა და კრიტიკულ წერილებს.

პროფესიონალ ლინგვისტთა და ლიტერატურათმცოდნეთა ნაშრომების გამოქვეყნების გარდა ჟურნალი მიზნად ისახავს ფილოლოგიის, როგორც ერთ-ერთი ძირძველი ჰუმანიტარული მეცნიერების პოპულარიზაციას მომავალ თაობებში. ჟურნალის რედაქლეგია განსაკუთრებული ინტერესითა და ყურადღებით ეკიდება დოქტორანტთა, მაგისტრანტთა და სტუდენტთა ნაშრომებს.

## სარჩევი

<b>ნათია აბაშიძე, ქეთევან ჯაში</b> პარონიმია როგორც განსაკუთრებული სტილისტური ფიგურა .....	9
<b>ციური ახვლედიანი, ნონა რუაძე</b> ილოკუციური ფრაზების ლექსიკური, სინტაქსური და მორფოლოგიური მდგრადობა .....	15
<b>ციური ახვლედიანი, ლია ყავლაშვილი</b> შვეიცარიის ფრანგული ენის ლექსიკური თავისებურებანი .....	18
<b>მანანა ასლანიშვილი</b> უცხოური ენის სრულყოფილი ცოდნის აქტუალობა .....	24
<b>ნანა გამყრელიძე</b> გემტალდტი და ენობრივი ნიშნის შინაფორმა .....	29
<b>ნანა გამყრელიძე</b> ფრაზეოლოგიური ერთეულის შიბნა ფორმა როგორც იდიომატიზაციისა და მეტაფორიზაციის შედეგი .....	33
<b>ქეთევან ჯაში, ნინო გურგენიძე</b> ისტორიულ-გეოგრაფიული კომპონენტი ფრანგულ და ქართულ ოიკონიმების ნომინაციაში და მათი ეტიმოლოგიური კვლევა.....	38
<b>მარინა ზორანიანი</b> უცხოურ ენაზე პროფესიულად ორიენტირებული კითხვის სწავლება არაენობრივი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთათვის.....	44
<b>ნინო ქავთარაძე</b> დროისა და სივრცის პრობლემა ჟულიენ გრაკის რომანში – „სირტის სანაპირო“ .....	50
<b>თამთა დონდაძე</b> წერილობითი და ზეპირი ინსტიტუციონალური კომუნიკაციის მარკერები .....	57
<b>დარეჯან ლაბუჩიძე</b> უცხო სიტყვები და შესიტყვებები ქართულ თარგმანში .....	63
<b>მარი ფარეშიშვილი</b> მთარგმნელობითი სტრატეგიის პრაგმატული პირობები ფრანგული და ქართული საგააზეთო სტატიების თარგმნისას .....	70
<b>რუსუდან ფხაკაძე</b> ტექნიკური დოკუმენტაციის ანალიზი სამომხმარებლო ტექსტის ტიპის ინსტრუქციის მაგალითზე .....	78
<b>ბელა შალამბერიძე</b> ზედსართული კომპოზიტების შეპირისპირებითი ანალიზი მათი ტრუქტურისა ს და წარმოების ტექნიკის მიხედვით გერმანულსა და ქართულ ენებში .....	87
<b>ია ჩიქვინიძე</b> ტერმინის ისტორიულ-ფილოსოფიური ეტიმოლოგია .....	93
<b>გიორგი ყუფარაძე, მაია ტურაშვილი</b> კანადური ინგლისური – ჰომოგენური ვარიანტი .....	96
<b>ქეთევან გაბუნია</b> უცხოური ენები საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ხანაში.....	104

## Contents

<b>Natia Abashidze, Ketevan N. Djachyi</b> Paronymy, as a Special Stylistic Device of Paronomasia .....	9
<b>Tsiuri A. Akhvlediani, Nona N. Ruadze</b> Lexical, Syntactic and Morphological stability of the Illokutiv Phrases.....	15
<b>Tsiuri A. Akhvlediani, Lia K. Kavlashvili</b> Lexical Special Features of Swiss French Language.....	19
<b>Manana A. Aslanishvili</b> Foreign Language Acquisition.....	24
<b>Nana O. Gamkrelidze</b> Geshtaldt and the internal form of a language sign.....	29
<b>Nana O. Gamkrelidze</b> The Internal Form of a Phraseological Unit, as a Consequence of Idiomatization and Metaphorization .....	33
<b>Ketevan N. Djachy, Nino Gurgenidze</b> Historic-Geographical Components in the Nomination of French and Georgian Names of Places and Their Etymological Study.....	38
<b>Marina G. Zoranyan</b> Teaching Professionally – Oriented Reading in a Foreign Language to Students Majoring in Other Than Linguistic Specialities.....	44
<b>Nino D. Kavtaradze</b> Time and Space Problem in Julien Gracq’s Novel «The Sirta coast» .....	50
<b>Tamta M. Gongadze</b> Markers of Written and Oral Insitutional Discourse .....	57
<b>Darejan A. Laboutchidze</b> Foreign Words and Word combinations in Georgian Translation.....	63
<b>Mari Paresishvili</b> Pragmatic Conditions of Translation Strategies in the Translation of Headlines From French and Georgian..	70
<b>Rusudan A. Pkhakadze</b> Analysis of Technical Documentations Based on the Service Management Text Example.....	78
<b>Bella B Shalamberidze</b> Comparative Analysis of Adjective Composites According to Their Structure and Connecting Technique in Georgian and German Languages.....	87
<b>Ia G. Chikvindze</b> Historic-Philosophical Etymology of a Term.....	93
<b>Giorgi N. Kuparadze</b> Canadian English – Homogeneous Variety . . .	96
<b>Ketevan U. Gabunia, Gvantsa V. Chanturia</b> Foreign Languages in the Age of Communicational and Informational Technologies .....	104

## Содержание

<b>Кетеван Джаши, Натиа Абашидзе</b> Паронимия как особое стилистическое средство паронимазии .....	9
<b>Ахвледиани Циури, Нона Руадзе</b> Лексическая, синтаксическая и морфологическая устойчивость иллокутивных фраз .....	15
<b>Ахвледиани Циури, Лия Кавлашвили</b> Актуальность владения иностранным языком.....	19
<b>Манана Асланишвили</b> Актуальность владения иностранным языком.....	24
<b>Нона Гамкрелидзе</b> Гештальт и внутренняя форма языкового знака.....	29
<b>Нона Гамкрелидзе</b> Внутренняя форма фразеологической единицы как следствие идиоматизации и метафоризации.....	34
<b>Кетеван Джаши, Гургенидзе Нино</b> Историко-географические компоненты во французской и грузинской номинации ойконимов и их этимологическое исследование .....	38
<b>Марина Зораян</b> Обучение студентов неязыковых вузов профессионально ориентированному чтению на иностранном языке.....	44
<b>Нино Кавтарадзе</b> Проблема времени и пространства в романе Жульена Грака „Побережье Сирта“.....	50
<b>Тамта Гонгадзе</b> Маркеры письменной и устной институциональной коммуникации .....	57
<b>Дареджан Лабучидзе</b> Иностранные слова и словосочетания в грузинском переводе.....	63
<b>Кетеван Джаши, Мари Парешишвили</b> Прагматические условия переводческой стратегии при переводе заглавий с французского и грузинского языков .....	70
<b>Русудан Пхакадзе</b> Анализ технических документов на примере вида текста - руководство по обслуживанию.....	78
<b>Белла Шаламберидзе</b> Сопоставительный анализ прилагательных композитов по их структуре и технике связи в грузинском и немецком языках .....	87
<b>Ия Чиквинидзе</b> Историко-философская этимология термина .....	93
<b>Георгий Купарадзе, Майя Туриашвили</b> Английский язык Канады – гомогенный вариант.....	96
<b>Кетеван Габуния, Гванца Чантурия</b> Иностранные языки в эпоху коммуникационных и информационных технологий.....	104



## ისტორიულ გეოგრაფიული კომპონენტი ფრანგული და ქართული ოიკონიმების ნომინაციაში და მათი ეტიმოლოგიური კვლევა

ქეთევან ჯაში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი  
რომანისტიკის დეპარტამენტი  
ი. ჭავჭავაძის გამზ. 32, 0179, თბილისი,  
საქართველო

ტელ: 899 508 337

E-mail: kdjachy@yahoo.com

ნინო გურგენიძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერ-  
სიტეტი

ევროპეისტიკის ფაკულტეტი

ახმედ მელაშვილის 13, 6010, ბათუმი,

საქართველო

ტელ: 892 111 185

E-mail: ngourguenidze@yahoo.fr

### რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში განხილულია ფრანგული და ქართული ოიკონიმების ეტიმოლოგიური კვლევის საკითხები ორი ენის შეპირისპირების საფუძველზე. ოიკონიმების კვლევა ხდება ინტერდისციპლინარულ ასპექტში. მათი შესწავლა ისეთი მეცნიერებების მონაცემების შეჯერებას მოითხოვს, როგორებიცაა გეოგრაფია, ისტორია, ხელოვნება, რელიგია და კულტურა, რაც კვლევის პროცესს უფრო საინტერესოს ხდის.

ფრანგული ოიკონიმების ეტიმოლოგიურმა კვლევამ დაგვანახა, რომ ისინი ძირითადად სხვა ენებიდან ნასესხები არსებითი

სახელებისა და ანტროპონიმებისაგანაა წარმოქმნილი, ხოლო ქართულ ოიკონიმებს საფუძვლად უდევს ქართული ზედსართავი და არსებითი სახელებისაგან ნაწარმოები ფორმები.

### საკვანძო სიტყვები:

აღწერითი და დეტერმინაციული ტოპონიმია, სინქრონული და დიაქრონული კვლევა, მეტამორფოზული ოიკონიმები, ეტიმოლოგია.

### შესავალი

ყველა ტერიტორიას საკუთარი ისტორია, კულტურა და ლეგენდა აქვს, რომელიც ტოპონიმიაზე აისახება. ტოპონიმია ბერძნული სიტყვაა. **topos** ნიშნავს ადგილს, **onima**-სახელს. ტოპონიმია მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის გეოგრაფიული სახელწოდებების წარმოებასა და ევოლუციას. ის შეიძლება იყოს აღწერითი და დეტერმინაციული. პირველი გადმოგვცემს ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ტერიტორიის ისტორიულ სახელდებას, ხოლო მეორე ისტორიული ფაქტების განვითარებასთან ერთად ნომინაციის ლინგვისტურ ევოლუციას. აქედან გამომდინარე ის თანადროულად აწარმოებს ორი მიმართულებით კვლევას – სინქრონიულს, რომელიც აღწერს ისტორიულ ფაქტს ტერიტორიის სახელდების დროს და დიაქრონიულს, რომელიც იძლევა გარდამავალ ეპოქაში ტერიტორიული სახელდების ჩამოყალიბებას და ჩვენამდე მოღწეულ საბოლოო სახეს.

ტოპონიმოკა ენათმეცნიერების ნაწილია და ლექსიკოლოგიასთან ერთად სხვადასხვა მე-თოდებით ოიკონიმების განსაზღვრულ ტერიტორიებთან მიმართებას იკვლევს.

ოიკონიმია (**oikia** ბერძნ. სიტყვაა ნიშნავს სახლს, საცხოვრებელს) ჩვენამდე მოღწეული სხვადასხვა ტერიტორიაზე მცხოვრები ერის ისტორიისა და კულტურის ამსახველი მეცნიერებაა. ეტიმოლოგიური კვლევის საფუძველზე დგინდება, თუ როგორ ჩამოყალიბდა და რაოდენ პროგრესულად განვითარდა ტერიტორიის სახელდება. ოიკონიმია მჭიდრო კავშირშია ისტორიასთან, გეოგრაფიასთან, კულტურასა და არქეოლოგიასთან. ეს უკანასკნელი მოიპოვებს ფაქტობრივ მასალას და ადგენს ოიკონიმების თავდაპირველ სახეს. ოიკონიმების ეტიმოლოგიურ-ლინგვისტური კვლევის დროს შეიძლება განსაკუთრებით გამოვყოთ ისტორიული ოიკონიმები, რომლებიც აღნიშნავენ თუ რომელმა ისტორიულმა ფაქტმა განსაზღვრა ამა თუ იმ ტერიტორიის ნომინაცია. მოცემული მაგალითების საფუძველზე შესაძლებელი ხდება განვსაზღვროთ, თუ რამდენადაა დაკავშირებული ისტორიული მოვლენა ან ისტორიული გმირი ქალაქის სახელდებასთან.

### ძირითადი ნაწილი

ტერიტორიის გეოგრაფიული სახელწოდებები გამოირჩევა მრავალპლანურობით როგორც თავისი ეტიმოლოგიური წარმოშობით, ასევე სიტყვაწარმოებით, რაც იძლევა საკვლევი ობიექტის ინდივიდუალური შესწავლის საშუალებას. ხოლო ოიკონიმების ეტიმოლოგიური კვლევის შედეგი ასახავს მოცემული ტერიტორიისა და მოსახლეობის ისტორიას, რელიგიას და კულტურას. საფრანგეთის დედაქალაქის თავდაპირველი სახელწოდება **Lutèce** წარმოშობილია ლათინური ენიდან, რომელიც

ლაქას (სიბინძურეს) ნიშნავს. ტომები, რომლებიც იქ დასახლდნენ, ჭაობიანი ადგილებიდან მოვიდნენ. ხოლო მოსახლეობას, რომელიც უკვე იქ ცხოვრობდა, პარისიელები ეწოდებოდა, რადგანაც ისინი ტროას მეფის ვაჟიშვილის – პარისის ნათესაები იყვნენ. **Paris**-ის სახელდებაში გვხვდება **ანტროტოპონიმისაგან** ანუ ადამიანის სახელიდან წარმოქმნილი ოიკონიმი. ვირგილიუსის ვერსიით ტროას ომის შემდეგ (დაახლოებით – 1260 წ) ტროელები ენეომის მეტაურობით დასახლდნენ და ააგეს ქალაქი რომი, ხოლო პარისის თანამოაზრენი დასახლდნენ იმ ტერიტორიებზე სადაც, ახლა განლაგებულია **პარიზი**. **S**-ის **z** – დ წარმოთქმა კი განაპირობა თანამედროვე ფრანგული ენის ფონეტიკამ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ეტიმოლოგიური კვლევის დროს, დამხმარე მეცნიერება ისტორიაა. კვლევის პროცესი ეყრდნობა დოკუმენტურ მასალებს. სახელწოდების ეტიმოლოგიზაცია ისტორიული პროცესია, მაგრამ როგორც უკვე ზემოთ ვახსენეთ, ისტორიული დოკუმენტაციის გარდა სახელდების დროს დიდი როლი ეკისრება გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას. ამის მაგალითია **Marseille** –ის სახელდება. მოცემული ოიკონიმის კვლევის დროს გვხვდება ორი მეცნიერული ვერსია: ისტორიული და გეოგრაფიული ეტიმოლოგიზაცია, თუ მას განვიხილავთ მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში სახელწოდება წარმოშობილია არაბული სიტყვა **mars**-საგან, რაც პორტს ნიშნავს. არაბულად ეწოდებოდა **Marsiho**, სადაც ასო **h** – ს შეესაბამება ფრანგული **ill**. შემდგომში ამ სიტყვამ განიცადა ლექსიკური ცვლილება და მივიღეთ **Marseille**. ხოლო ისტორიულ მოვლენაზე დაყრდნობით მისი თავდაპირველი სახელწოდება **Massalia** ბერძნული წარმოშობისაა და

მსხვერპლშეწირვას ნიშნავს. ეს მოვლენა დაკავშირებულია იმ პერიოდთან, როდესაც **Marseille** –ის ტერიტორია ბერძნებს ჰქონდათ დაპყრობილი. ამის დასტურია ისიც, რომ დღემდე შემორჩენილი რამდენიმე პროვანსალური სოფელი სადაც საუბრობენ პროვინციულ ბერძნულ ენაზე.

**Lyon**–ის ეტიმოლოგია გალური ვერსიით პირდაპირ მიუთითებს გეოგრაფიის როლს ოიკონიმების ჩამოყალიბებაზე. **Lugdunum** (თავდაპირველი სახელწოდება) ჩამოყალიბდა რომის იმპერიის დროს. ეტიმოლოგია წარმოქმნილია ორი გალური წარმოშობის ლექსემისაგან: **dunum** – ითარგმნება როგორც გორაკი და პრეფიქსი **Lug** – ნიშნავს მზის სხივს. არაბი გეოგრაფის მიერ ის მოხსენიებულია როგორც “**Loudoun**”, შემდგომში კი სიტყვამ განიცადა ფონეტიკური ცვლილება გაადვილების თვალსაზრისით (**Lugdunum–Lugdon–Loudoun–Luon**), რის შედეგად მივიღეთ სხვადასხვა ენის ზემოქმედებით მეტამორფოზული ოიკონიმი **Lyon**-ი (მეტამორფოზული ოიკონიმები იცვლიან ჟღერადობას ერთი ენიდან მეორეში გადასვლის დროს), ხოლო პლუტარქეს რწმუნებით **Lyon** ჩამოყალიბდა კელტური ენიდან და **Lugdunum** ნიშნავს “ყვავთა ჯგუფს” (გადატანითი მეტაფორული მნიშვნელობით დაუსახლებელ ტერიტორიას). შემდეგ ის შეიკვეცა, ამოვარდა ხმოვანი –**u** და მივიღეთ სიტყვა **Lugdunum**, რომელიც კელტურ ენაზე ნიშნავს ღომს. დროთა განმავლობაში მოხდა მისი ფრანგული შესატყვისის დამკვიდრება და იმისათვის, რომ ცხოველისა და ქალაქის სახელწოდებას გრაფიკული განსხვავება ჰქონოდა, **i** შეიცვალა **y**–ით და ასიმილაციის ფონზე მივიღეთ საბოლოო სახე **Lyon**.

რაც შეეხება **Bordeaux**–ს ნომინაციას, ისიც გეოგრაფიული წარმოშობის ოიკონიმიას მიეკუთვნება, **burd** (ლათ. სიტყვაა და ნიშნავს “თავშესაფარს”, **gala** –

“ჭაობიან ადგილს”. **Burdigala** – “თავშესაფარი ჭაობში”. დიაქრონიული განვითარების შედეგად მივიღეთ (**Bordigala – Bordala – Bordeaux**).

**Lille** – ის წარმოშობაც გეოგრაფიულ მდებარეობას ეფუძნება და ნიშნავს გარემოცულს წყლით. მისი თავდაპირველი სახელი **Insula** ლათინური წარმოშობისაა და ითარგმნება “ქალაქი წყლის გულში” (1066წ). მოგვიანებით მან დაიბრუნა ძველი ფრანგული სახელწოდება “**Isle**”, რაც იმავს ნიშნავს. თანამედროვე ფრანგულში კი “**ile**”-ს სიტყვის მნიშვნელობის შეუცვლელად ჟღერადობისთვის დაემატა ასო “**l**”, ამრიგად მივიღეთ თარგმნის შედეგად ჩამოყალიბებული ოიკონიმია.

ცნობილია აგრეთვე **Toulouse** –ას წარმოშობის რამდენიმე ეტიმოლოგიური ვერსია:

1. თავდაპირველი სახელწოდება **Toulouse** წარმოქმნილია **Langue d’oc**-დან, **tolon** (ფრანგულად **une colline**) იგივეა, რაც ბორცვი, გორაკი, რადგან იმ დროისათვის ქალაქი განლაგებული იყო მტრისათვის ძნელად მისაღწევ ადგილას – გორაკზე.

2. ლინგვისტების აზრით **tolose** ლათინური სიტყვაა და აღნიშნავს “შემომავალს”, რადგან იმ დროს მდინარე **Garonne** – ზეგავლით ხდებოდა ხმელთაშუა ზღვაში შესვლა.

3. ზოგიერთი ლინგვისტისთვის მისაღებია ლეგენდაზე დამყარებული ოიკონიმია. რენესანსის პერიოდში, ნოეს სათაყვანებლად აღნიშნულ ტერიტორიას მისი შვილიშვილის **Thulos** სახელი ეწოდა. ციკრონმა კი მას, ისევ გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, **Tolosa** უწოდა. 1588 წელს სახელწოდება შეიცვალა მოსახლეობის მიერ ფონეტიკური წარმოთქმის საფუძველზე.

ფრანგული ოიკონიმების ქართულ ოიკონიმებთან შედარების საფუძველზე შევეც-

დებით განვიხილოთ ქართული ტერიტორიების სახელდების ეტიმოლოგია, კერძოდ თუ რამდენად ემყარება ქართული ოიკონიმია ისტორიულ-გეოგრაფიულ წყაროებს.

ქალაქი **თბილისი** დაფუძნდა მე-V საუკუნეში. მისი სახელწოდება წარმოიშვა ზედსართავი სახელის “თბილი” და სუფიქსი “-სი”-ს შეერთებით. ლეგენდის თანახმად თბილისის სახელდება მოხდა თბილი წყაროების აღმოჩენის საფუძველზე. ამრიგად, თბილისი ზედსართავისაგან წარმოქმნილი ოიკონიმია. (რუსულ ენაზე ხშირად იყენებენ როგორც **Тифлис** გამომდინარე თბილის რუსული შესატყვისისაგან **тепло**-თბილი, რომელიც აღებულია ხალხური ეტიმოლოგიიდან).

თბილისისაგან განსხვავებით გეოგრაფიული ადგილმდებარეობის საფუძველზე მიენიჭა სახელწოდება **ბათუმის** ტერიტორიას. ეტიმოლოგიური კვლევის თვალსაზრისით **Bathus** – ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და “ღრმას” ნიშნავს.

გეოგრაფიული მდებარეობის შესაბამისად მოსახლეობა თავდაპირველად განლაგებული იყო მთის ძირში (იგულისხმება ამჟამინდელი გონიოსა და სარფის ტერიტორია). ლინგვისტების მიერ **i** – მიხნეულია სახელის კუთვნილ დაბოლოებად, ხოლო **om** – ტოპონიმიაში გავრცელებულ სუფიქსად (**Bathus – Batomi**). **ბათუმი** ქართული ვარიანტია, რომელიც მეგრულ-ლაზურ ენაში ითარგმნება როგორც “ქვასთან მებრძოლი.” ბერძნული სახელდებით **ბათუმი** ზედსართავისაგან წარმოქმნილი ოიკონიმია.

უძველესი ქალაქის **ქუთაისის** წარმოშობაც გეოგრაფიულ მდებარეობაზე დაფუძნებული. იგი დაარსდა VI საუკუნეში, ნაწარმოებია ძველი ქართული ლექსემისაგან “ქუათო”, რაც თანამედროვე ქართულ ენაში “ქვიანს” ნიშნავს, რაც შეესაბამება ქველი ალაქის ადგილმდებარეობას, ხოლო „ისი“ – ტოპონიმური სუფიქსია, (რო-

გორც „სი“ – თბილისის შემთხვევაში). **ქუათოსი** – ეს იყო თავდაპირველი სახელი, ხოლო შემდგომში ენის ევოლუციის ფონზე ჩამოყალიბდა **ქუთაისი**.

გეოგრაფიულ ოიკონიმიას მიეკუთვნება **გორი**. მისი თავდაპირველი სახელი იყო **ტონტი**, იგივეა რაც “გორა, ამაღლება.” დიაქრონიული განვითარების შემდეგ დაფუძნდა სახელი **გორი**, ანუ მოხდა არსებითი სახელის სინონიმით ჩანაცვლება. (აქ ვხვდებით ორ არამონათესავე ენაში, ერთი და იმავე არსებით სახელის მიხედვით ნაწარმოებ ოიკონიმიას. **Toulouse-tolon** ითარგმნება როგორც „გორაკი“ და იგივე მნიშვნელობა აქვს „გორსაც“).

რაც შეეხება **ფოთის** წარმოშობას, მისი სახელწოდება მითოლოგიაზე დაფუძნებული. თავდაპირველად ფოთის ტერიტორიაზე, როგორც ჩანს არსებობდა საბერძნეთის კოლონია “**ფაზისი**”, რაც «ოქროს მდინარეს» ნიშნავს, (მდრ., მითი არგონავტების შესახებ) და რომლის ქართული ვარიანტია “**ფათი**”. სწორედ ამ სახელწოდებიდან მივიღეთ თანამედროვე ქართული ფორმა **ფოთი**.

ქალაქ **რუსთავის** ეტიმოლოგიაში გვხვდება ორი სავარაუდო ვერსია:

1. თავდაპირველად არსებობდა პატარა დასახლება დღეს არსებულ რუსთავთან ახლოს, რომლის სახელწოდებაც შემდგომში დაიმკვიდრა ქალაქმა **რუსთავმა**. ლინგვისტები თვლიან, რომ ეს ოიკონიმი ქართული წარმოშობისაა – „რუ“ აღნიშნავს საწყისს, „თავი“ – არხს, რადგან მტკვრის ერთ-ერთი შენაერთი რუსთავში იღებდა სათავეს. ასო “ს” კი კუთვნილებაზე მიუთითებს (**რუს თავი**). სწორედ აქედან ჩამოყალიბდა ქალაქი რუსთავის სახელწოდება (1944წ).

2. მეორე ვერსიის თანახმად ქალაქი **რუსთავი** ატარებს ქართველი პოეტის შ. რუსთაველის სახელს. ამ ვერსიიდან გამომ-



დინარე რუსთავი პატრონიმისაგან ნაწარმოები ოიკონიმია.

### დასკვნა

ფრანგული ოიკონიმების ეტიმოლოგიური კვლევა ადასტურებს, რომ გეოგრაფიული, ისტორიული და ლეგენდებზე დაფუძნებული არსებითი სახელებისაგან და ანტროპონიმებისაგან წარმოქმნილი სახელწოდებები ნაწარმოებია ძირითადად არაფრანგული ენიდან და მათი თარგმნა ყოველთვის იწვევს უღერადობის ცვალებადობას, რის საფუძველზეც წარმოიქმნა მეტამორფოზული ოიკონიმები. ხოლო ქართულ ოიკონიმებთან მეტ-ნაკლებად ვხვდებით ქართული ენის საფუძველზე წარმოებულ სახელებს, რომლებიც უმეტესად ზედსართავი და არსებითი სახელებისგანაა მიღებული. ოიკონიმები თავისი წარმოშობის მრავალფეროვნებითა და განვითარებით მკვლევართა ყურადღებას იპყრობს. მრავალსაუკუნოვანი კვლევის მიუხედავად დღემდე საინტერესოა ამ სფეროში კვლევის განხორციელება.

### ლიტერატურა

1. გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ. (2008): თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
2. Dauzat A., Rostaing Ch. (1963): Dictionnaire étymologique des noms de lieux en France. Larousse. Paris
3. Cassagne Jean-Marie, Korsak Mariola (2008): Les noms de lieux de la Haute - Garonne, Sud-Ouest. Paris

4. Gendron Stéphane (2003): L'origine des noms de lieux en France. Errance. Paris
5. Haman A. (1992): Les mots français. Hachette. Paris
6. Lognon Auguste (1929): Les noms de lieux de la France, leur origine, leur signification. Edouard Champion. Paris
7. Веселовский С. (1974): Ономастикон Московского Университета. Москва
8. Жучкевич В. (1968): Общая топонимика. 2 изд. Народная асвета. Минск

### Historic-geographical components in the nomination of French and Georgian names of places and their etymological study

*Ketevan N. Djachy*  
*Iliia State University,*  
*School of Humanities and Arts*  
*32 Iliia Chavchavadze aven., 0179, Tbilisi,*  
*Georgia*  
*Tel: 899 508 337*  
*E-mail: kdjachy@yahoo.com*

*Nino L. Gurgenidze*  
*Shota Rustaveli State University*  
*Postgraduate student of Faculty of Humanities,*  
*Department of Romance Studies*  
*35 Ninoshvili aven., 6010, Batumi*  
*Tel: 893 456 595*  
*E-mail: ngourguenidze@yahoo.fr*

### Abstract

The preceding article deals with etymological study of French and Georgian names of places on the basis of comparison of two languages. The research is carried out through the interdisciplinary aspect.

The process of research requires the synthesis of different branches of science, such as geography, history, art, religion and culture that makes studies more interesting.

The etymological study of French names of places has showed that they mainly originate from the nouns and the adjectives that are borrowed from the other languages. As for the Georgian names of places, they are based on the forms of adjectives and nouns existing in the Georgian Language.

**Keywords:**

descriptive and determinative toponymy, synchronic and diachronic research, metamorphic names of places.

**Историко-географические компоненты во французской и грузинской номинации ойконимов и их этимологическое исследование.**

*Джаши Кетеван Николаевна  
Государственный университет Ильи  
Факультет гуманитарных наук и искусства  
Департамент романистики  
Просп. И. Чавчавадзе 32, 0179, Тбилиси,  
Грузия  
Тел.: 899 508 337  
E-mail: kdjachy@yahoo.com*

*Гургенидзе Нино Левановна  
Государственный Университет  
им. Шота Руставели  
Факультет гуманитарных наук  
Департамент европеистики  
ул. Ниношвили 35, 6010, Батуми, Грузия  
Тел 893 456 595  
E-mail: ngourguenidze@yahoo.fr*

**Резюме**

В статье рассмотрены проблемы этимологического исследования французских и грузинских ойконимов на основе сопоставления двух языков. Исследования ойконимов проводится в интердисциплинарном аспекте. Изучение ойконимов требует синтеза данных таких наук, как география, история, искусство, религия и культура, что делает сам процесс исследования более интересным.

Этимологическое исследование французских ойконимов показало, что они, в основном, образованы от имён существительных и от имён прилагательных, которые заимствованы из других языков. Основой же грузинских ойконимов являются формы, образованные от имён существительных и прилагательных.

**Ключевые слова:**

описательная и детерминативная топонимика, синхроническое и диахроническое исследование, метаморфозные ойконимы.